

**German Development Cooperation**

**GIZ Office South Caucasus**  
Rustaveli Ave. 42 / Griboedov Str. 31a  
0108 Tbilisi, Georgia  
T +995 32 2201800  
F +995 32 2201801

Your reference  
Our reference

15<sup>th</sup> May, 2018

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარის პროექტი**  
(პროექტის გადაცემის კონცეფცია/ინტერესთა გამოხატვის პირობა)  
მოწვევა ინტერესის გამოხატვაზე

**I. შესავალი**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსს, როგორც კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ძირითად კოდიფიკაციას, გამორჩეული ადგილი უკავია ქართულ სამართლის სისტემაში. შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კოდექსის ნორმების სწორად გამოყენებას და განმარტებას სასამართლო პრაქტიკაში. სამოქალაქო სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია კვალიფიციური კომენტარების, სასწავლო ლიტერატურის, მონოგრაფიებისა და სხვა სახის სამეცნიერო ნაშრომების არსებობა. კომენტარი სხვა ლიტერატურასთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს კანონის სწორად გაგებისა და გამოყენების პროცესში, იგი ეხმარება იურისტებს პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებაში, ხელს უწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას, ამასთანავე ბიძგს აძლევს იურიდიული განათლებისა და სამართლებრივი მეცნიერების განვითარებას.

Deutsche Gesellschaft für  
Internationale Zusammenarbeit (GIZ)  
GmbH

Registered offices  
Bonn and Eschborn, Germany

Friedrich-Ebert-Allee 36 + 40  
53113 Bonn, Germany  
T +49 228 44 60-0  
F +49 228 44 60-17 66

Dag-Hammarskjöld-Weg 1 - 5  
65760 Eschborn, Germany  
T +49 61 96 79-0  
F +49 61 96 79-11 15

E info@giz.de  
I www.giz.de

Registered at  
Local court (Amtsgericht)  
Bonn, Germany  
Registration no. HRB 18384  
Local court (Amtsgericht)  
Frankfurt am Main, Germany  
Registration no. HRB 12394

Chairman of the Supervisory Board  
Martin Jäger, State Secretary

Management Board  
Tanja Gönner (Chair)  
Dr Christoph Beier (Vice-Chair)  
Dr Hans-Joachim Preuß

სამოქალაქო კოდექსის კომენტარის პროექტის მიზანია, შეიქმნას თანამედროვე აკადემიური სტანდარტების შესაბამისი ქართული კომენტარი, რომელშიც ასახული იქნება მიმდინარე სამეცნიერო დისკუსიები და ბოლო წლებში ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკა.

კოდექსის კომენტარის შექმნა მიზნად ისახავს, წახალისოს პროფესიული დისკუსია და იურისტებს შორის აზრთა გაცვლა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ქართული სამოქალაქო სამართლის განვითარებას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია კომენტარის და კომენტარების ტექნიკის განვითარების ხელშეწყობა.

პროექტი დაფინანსებულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) სამართლის პროგრამისა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) კანონის უზენაესობის მხარდაჭერის

პროექტების (PROLoG) თანამშრომლობის ფარგლებში. შესაბამისად, ის არ ატარებს კომერციულ ხასიათს.

კომენტარი მოიცავს სამოქალაქო კოდექსის 1-1016 მუხლებს:

- წიგნი პირველი: ზოგადი დებულებები (1-146)
- წიგნი მეორე: სანივთო სამართალი (147-315)
- წიგნი მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე: ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი ნაწილი 316-476 და კერძო ნაწილი 477-1016)

პროექტის მდგრადობის უზრუნველსაყოფად პროექტის განმახორციელებელი დონორები გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) სამართლის პროგრამა, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროექტთან (PROLoG) შეთანხმებით, მიზნად ისახავს, პროექტი სამართავად და დასასრულებლად გადასცეს ტენდერით შერჩეულ აკადემიურ დაწესებულებას, რომელიც

- დონორების მიერ მიცემული ნაწილობრივი დაფინანსებითა და საკუთარი სახსრებით შეძლებს დარჩენილი კომენტარების ბეჭდური ვერსიის შექმნას და ვებ-გვერდზე განთავსებას,
- გრძელვადიანი თვალსაზრისით იზრუნებს სამოქალაქო კოდექსის კომენტარის პერიოდულ განახლებაზე და შემდგომი გამოცემების მომზადებაზე;
- მართავს პროექტის ფარგლებში შექმნილ ონლაინ კომენტარის ვებ-გვერდს;
- გაყიდის ბეჭდურ ვერსიებს და მიღებულ შემოსავალს მოახმარს სამოქალაქო კოდექსის კომენტარის შემდგომ განვითარებას.

## II. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარის პროექტი (არსებული მდგომარეობა)

სამოქალაქო კოდექსის კომენტარზე მუშაობა 2013 წლიდან მიმდინარეობს. დღევანდელი მდგომარეობით 1016 მუხლიდან კომენტირებულია და ონლაინ კომენტარის ვებ-გვერდზე ([www.gccc.ge](http://www.gccc.ge)) განთავსებულია მთლიანი კომენტარის დაახლოებით 60 %.

2017 წელს ბეჭდური სახით გამოცემულ იქნა პირველი წიგნი (მუხ. 1-146). პირველი წიგნის ბეჭდვისა და გაყიდვის უფლება გადაცემული აქვს გამომცემლობა „მერიდიანს“ 2019 წლის 31 დეკემბრამდე. ამ ვადის ამოწურვის შემდგომ, აღნიშნული უფლება გადაეცემა წინამდებარე კონკურსში გამარჯვებულ დაწესებულებას.

2018 წელს დონორების მიერ დაგეგმილია მეორე წიგნის (სანივთო სამართალი) და მესამე წიგნის (ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი) გამოცემა. მთლიანობაში პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 6 წიგნის გამოცემა:

1. ზოგადი ნაწილი
2. სანივთო სამართალი
3. ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი ნაწილი)
4. ვალდებულებითი სამართალი (კერძო ნაწილი I)
5. ვალდებულებითი სამართალი (კერძო ნაწილი II)
6. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები

კომენტარის ტექსტის ძირითადი ნაწილი გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე [www.gccc.ge](http://www.gccc.ge), ასევე დასრულებულია მუშაობა ახალ საიტზე [www.civilcode.ge](http://www.civilcode.ge), რომელსაც ძეგლის უკეთესი შესაძლებლობები ექნება. მიუხედავად იმისა, რომ სამომავლოდ კომენტარის ბეჭდური ვერსიების გამოცემა და გაყიდვა იქნება შესაძლებელი, დონორები მაინც თანხმდებიან, რომ ელექტრონული ვერსია ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. გარდა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა, ელექტრონული ვერსია მიზნად ისახავს ბეჭდური ვერსიის შექმნამდე და შექმნის შემდგომაც არსებობდეს დისკუსიის პლატფორმა, კომენტარზე აზრის გამოთქმისა და მისი გაუმჯობესების მხარდაჭერისთვის. კომენტარისათვის მნიშვნელოვანია, რომ იგი იყოს მაქსიმალურად მისაღები, გამოსადეგი და სრულყოფილი იურისტებისათვის. ამ მიზნით ვებ-გვერდზე ყოველი მუხლის კომენტარს თანდართული აქვს კომენტარების ველი, სადაც მკითხველს შეუძლია დაწეროს თავისი პროფესიული მოსაზრება შესაბამისი მუხლის კომენტართან დაკავშირებით, მიუთითოს საკითხებზე ან განსხვავებულ პრაქტიკაზე, რომლის უფრო დეტალურად ასახვასაც ისურვებდა კომენტარში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომენტარის პირველი სამი წიგნი დასრულებულია და გამოიცემა 2018 წელს. შემდგომი 3 წიგნის ფარგლებში უმეტესობა კომენტარების დაწერილია. დარჩენილია ორმოცდაათამდე მუხლის კომენტარის დაწერა.

### III. კომენტარის მდგომარეობა მუხლების მიხედვით

**პირველი წიგნი (1-146 მუხლები)** - გამოცემულია ბეჭდური სახით.

**მეორე წიგნი (სანივთო სამართალი 147-315 მუხლები)** - დაკაბადონების პროცესშია, მზადდება ბეჭდური სახით გამოსაცემად.

**მესამე წიგნი (ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი 316 – 476 მუხლები)** - რედაქტირების პროცესშია და რედაქტირება დასრულდება 2018 წელს.

**მეოთხე წიგნი (ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი I, 477 – 667 მუხლები)** - მოითხოვს რედაქტირებას, შესაძლოა წარმოიშვას რიგი კომენტარის რედაქტირების, ან ხელახალი დაწერის საჭიროება.

**მეხუთე წიგნი (ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი II – 668 – 952 მუხლები) -** მოითხოვს რედაქტირებას, შესაძლოა წარმოიშვას რიგი კომენტარის რედაქტირების, ან ხელახალი დაწერის საჭიროება. 668-708 და 859-873 მუხლები დასაწერია.

**მეექვსე წიგნი (კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, 953 – 1016 მუხლები) -** საჭიროებს რედაქტირებას და გამოცემისთვის მომზადებას.

კომენტარის ბოლოს სამი წიგნის შემთხვევაში შესარჩევია ავტორი/ავტორები, რომლებიც დაწერენ დარჩენილი 54 მუხლის კომენტარს (მუხლები: 668-708, 859-873). ამასთანავე გასაკეთებელია მთლიანი ტექსტის რედაქტირება. რედაქტირების პერიოდში შესაძლებელია წარმოიშვას საჭიროება ტექსტის გაუმჯობესების ან ხელახალი დაწერის.

#### **IV. მოთხოვნები პრეტენდენტი აკადემიური დაწესებულების მიმართ**

აკადემიური დაწესებულება, რომელსაც სურს მიიღოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარის პროექტი სამართავად, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ წინაპირობებს:

1. იურიდიული პირი, რომელიც ეწევა საგანმანათლებლო ან სამეცნიერო კვლევით საქმიანობას
2. კვალიფიციური აკადემიური პერსონალი სამოქალაქო სამართლის მიმართულებით.
3. კვლევითი გამოცდილება სამოქალაქო სამართლის მიმართულებით.
4. ფინანსური მზაობა პროექტის განსახორციელებლად.
5. კომენტარზე გრძელვადიან პერსპექტივაში მუშაობისა და განახლების მზაობა და შესაძლებლობა.
6. კომენტარის საიტის [civilcode.ge](http://civilcode.ge) მუდმივი განახლების შესაძლებლობა.

#### **V. აკადემიური დაწესებულებისა და დონორების ფინანსური წვლილი პროექტის დასრულებაში**

პროექტის გადაცემის შემდგომ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) სამართლის პროგრამა გამოთქვამს მზადყოფნას, შერჩეულ აკადემიურ დაწესებულებას გამოუყონ ფინანსური დახმარება კოდექსის დარჩენილი მუხლების კომენტარების დაფინანსებისა და გამოცემისათვის.

აკადემიური დაწესებულების მიერ დაფინანსებულ უნდა იქნეს პროექტის კოორდინატორის/ების, რედაქტორის თანხა; ასევე, ვებ-გვერდის მოვლა-პატრონობის და შესაბამისი პერსონალის შენახვისთვის გასაწევი თანხა.

#### **VI. პროექტის შემდგომი მართვა**

შერჩეულ აკადემიურ დაწესებულებას დაევალება, შექმნას სამოქალაქო კოდექსის კომენტარის პროექტის მართვის ჯგუფი. პროექტის მმართველი გუნდი უნდა შედგებოდეს პროექტის კოორდინატორის/ებისაგან, შინაარსობრივი რედაქტორის/ებისაგან, ტექნიკური რედაქტორის/ებისაგან. მმართველ გუნდს უნდა

ჰყავდეს მთავარი რედაქტორი და პროექტის კოორდინატორი, რომელიც პასუხისმგებელია კომენტარის ხარისხზე.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) სამართლის პროგრამა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროექტი (PROLoG) არ მონაწილეობენ პროექტის მართვაში, თუმცა, ისინი უფლებას იტოვებენ კომენტარის არადადამკმაყოფილებელი ხარისხის შემთხვევაში მოსთხოვონ აკადემიურ დაწესებულებას და მმართველ გუნდს კომენტარის შესაბამის სტანდარტებში მოქცევა და გამოცემა.

## VII. გამოყენების უფლებების მინიჭება

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) სამართლის პროგრამა და ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროექტი (PROLoG) შერჩეულ აკადემიურ დაწესებულებას 10 წლით მიანიჭებენ უფლებას გამოსცეს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები საკუთარი ხარჯებით და გაყიდოს დაბეჭდილი ეგზემპლარები.

დაბეჭდვისა და გაყიდვის უფლება გაიცემა შემდეგი პირობებით:

- ა. აკადემიური დაწესებულება იღებს ვალდებულებას კომენტარები მოამზადოს და დაბეჭდოს უკვე გამოცემული კომენტარების (იგულისხმება კომენტარების პირველი წიგნი) ხარისხის შესაბამისად.
- ბ. აკადემიურ დაწესებულებას ექსკლუზიურად ენიჭება დაბეჭდვისა და გაყიდვის უფლება, თუმცა, კომენტარების ელექტრონული ვერსიები უნდა დარჩეს უსასყიდლოდ ხელმისაწვდომი საკუთარი და სხვა, მისგან უფლებამოსილი, ორგანიზაციების ინტერნეტ-რესურსების მეშვეობით<sup>1</sup>.
- გ. აკადემიური დაწესებულება იღებს ვალდებულებას, კომენტარები გაყიდოს არაუმეტეს დონორებთან წინასწარ შეთანხმებულ ფასად.
- დ. აკადემიური დაწესებულება იღებს ვალდებულებას, კომენტარები გამოსცეს საკმარისი ტირაჟით, რათა ბაზარზე არ შეიქმნას დეფიციტი.
- ე. აკადემიურ დაწესებულება იღებს კომენტარების გავრცელებისა და მისი პოპულარიზაციის ვალდებულებას.

შეთანხმებული პირობების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, დონორები უფლებას იტოვებენ დარღვევის გამოსწორების მიზნით აკადემიურ დაწესებულებას დაუწესონ გონივრული ვადა, ხოლო ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ ჩამოართვან ხელშეკრულებით მინიჭებული ნაწარმოების გამოყენების უფლებები.

## ინტერესის გამოხატვის წარდგენა

<sup>1</sup> ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროექტი (PROLoG) უფლებას იტოვებს საკუთარი სახსრებით გამოსცეს და უფასოდ გავრცელოს საწიგნო სამართლისა და (ზოგადი) ვალდებულებითი სამართლის წიგნის 200 ცალი ეგზემპლარი.

აკადემიურმა დაწესებულებამ, რომელსაც სურს გადაეცეს სამართავად სამოქალაქო კოდექსის კომენტარის პროექტი, 1 ივნისის 18:00 საათამდე უნდა გამოხატოს ინტერესი და წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ორგანიზაციის სტატუსის შესახებ.
2. აღწერა სამოქალაქო და კერძო სამართლის მიმართულებით კვლევითი გამოცდილების არსებობის შესახებ.
3. ინფორმაცია სამოქალაქო სამართლის მიმართულებით არსებული პერსონალის შესახებ.
4. დასაბუთება, თუ რატომ სურს პროექტის მიღება და როგორ ხედავენ გრძელვადიან პერსპექტივაში კომენტარის განვითარებას.
5. პროექტის მმართველი გუნდის (კოორდინატორები, რედაქტორები, ტექნიკური პერსონალი, დასამუშავებელი კომეტარების სავარაუდო ავტორები) შესახებ ინფორმაცია და პროექტში ჩართული ყველა პირის CV.
6. საკონტაქტო ინფორმაცია

ინტერესის გამოხატვის ეტაპის შემდეგ გამოცხადდება ტენდერი აკადემიური დაწესებულების შერჩევის მიზნით. მონაწილე კომპანიებს გაეგზავნებათ კომენტარების ტექსტი ხარისხის გაცნობისა და დეტალური კონცეფციის და ბიუჯეტის მომზადებისათვის.

ინტერესის გამოხატვის წინადადებები გაგზავნილ უნდა იქნას 1 ივნისის 18:00 საათამდე შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე:  
[anna.chkheidze@giz.de](mailto:anna.chkheidze@giz.de) და [tornike.darjania@giz.de](mailto:tornike.darjania@giz.de)

საკონტაქტო პირი:

თორნიკე დარჯანია  
სამართლებრივი მრჩეველი  
GIZ-ის პროგრამა „სამხრეთ კავკასიის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება“  
გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) GmbH  
31a, გრიბოედოვის ქ., მე-4 სართული  
0108 თბილისი, საქართველო  
T + 995 32 2201821  
M + 995 593 199338